ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის

ო ქ მ ი # 5

ქ. ონი 24. 05. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

ბიუროს 13 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 10 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, ვასილ მეტრეველი, ლევან ორდინიძე, სერგო ლობჯანიძე, სონია გუგეშაშვილი, გივი მეტრეველი, ვლადიმერ ბერელიძე, მამუკა ყავლაშვილი, თეიმურაზ ცეცაძე.

არ ესწრებოდნენ: გიორგი მარკოიშვილი, ნოდარ ბურდილაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის I მოადგილე გიორგი ნოდარიშვილი, ეკონომიკის სამსახურის უფროსი თეიმურაზ გრძელიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თინათინ ბროლაშვილი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გივი ბენდიანიშვილი, მერიის შესყიდვების სამსახურის უფროსი მარინე მაისურაძე.
სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი/

2. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. გ. ნოდარიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის I მოადგილე

თანამომხს. თ. ბროლაშვილი-საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

3. „2023 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების თაობაზე“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 აპრილის #7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. გ. ნოდარიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის I მოადგილე

თანამომხს. გ. ბენდიანიშვილი-მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი/

4. ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ.

/მომხს. მამია ყავლაშვილი--კომისიის თავმჯდომარე/

5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წელს მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების მდგომარეობის შესახებ

/მომხს. მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის მერი, სერგო ხიდეშელი, სამსახურებრივი მივლინებით იმყოფება საზღვარგარეთ, შესაბამისად, საკითხი-1.ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, საჭიროა გადაიდოს მომავალ სხდომამდე.

დღის წესრიგი, აღნიშნული საკითხის გარდა, დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: **2.** ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. თ. ბროლაშვილი-საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ს. ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ საკითხი განხილულია ფრაქციისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომებზე, აღსანიშნავია I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების, განსაკუთრებით კი, ინფრასტრუქტურის მიმართულებით შესრულების ძალიან დაბალი მაჩვენებელი, რასაც აქვს ობიექტური და სუბიექტური მიზეზები და

რაც მეტ პასუხისმგებლობას და ძალისხმევას მოითხოვს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: საკითხი- ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ, შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 3. „2023 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების თაობაზე“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 აპრილის #7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. გ. ბენდიანიშვილი-მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი/

გ. ბენდიანიშვილმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი „2023 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების თაობაზე“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 აპრილის #7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ და აღნიშნა, რომ შეიცვალა რვა სოფლის პრიორიტეტი, შესაბამისად ცვლილება შევიდა განკარგულების პროექტში.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ.

/მომხს. მამია ყავლაშვილი--კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წელს მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების მდგომარეობის შესახებ

/მომხს. მამუკა ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წელს მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების მდგომარეობის შესახებ

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი ინფორმაცია შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, ბიუროს წევრებმა ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე.

ს. გუგეშაშვილმა ისაუბრა მურმან ლებანიძის სახელობის ლიტერატურული კონკურსის ჩატარების მნიშვნელობაზე მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის და თხოვა მერის მოადგილეს აღნიშნული საკითხის დაფინანსება. გ. ნოდარიშვილმა განაცხადა, რომ მომავალი წლიდან მერია ბიუჯეტში გაითვალისწინებს თანხას აღნიშნული კონკურსის ჩატარებისთვის.

ვ. მეტრეველმა ისაუბრა ქალაქის ტერიტორიაზე საბავშვო ბაღის მშენებლობის აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსახლეობა დადგება პრობლემის წინაშე, რადგან არსებული საბავშვო ბაღი ვერ გაივლის ავტორიზაციას.

გ. ნოდარიშვილმა განაცხადა, რომ ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა ექვემდებარება დემონტაჟს, იქ მაცხოვრებელი რამდენიმე ოჯახი დაუბრუნდება თავის საცხოვრებელს და იმ ტერიტორიაზე აშენდება ახალი საბავშვო ბაღი.

ა. ხვედელიანმა განაცხადა, რომ სოფ. ჭალის მოსახლეობა ითხოვს სტადიონის მშენებლობას.

გ. ნოდარიშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა მოსახლეობასთან შეხვედრა და ურთიერთშეთანხმებით გადაწყვეტა, რისი გაკეთება უმჯობესია იმ კონკრეტულ ადგილზე.

ვლ. ბერელიძემ ისაუბრა სოფ. საკაოში, ბასუკაანთუბანში ხიდის მშენებლობის აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ იყო დაპირება მერიის მხრიდან აღნიშნული ხიდის მშენებლობის, არის პროექტი, რომლის განხორციელებაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, რის გამოც ამ ეტაპზე შეჩერებულია ხიდის მშენებლობა, შესაძლებელია პროექტის შეცვლა, შესაბამისად ხარჯების შემცირება და მოსახლეობის თხოვნის დაკმაყოფილება.

გ. ნოდარიშვილმა განაცხადა, რომ საჭიროა პროექტის ავტორთან დაკავშირება, რომელიც შეცვლის და შეამცირებს პროექტის ხარჯებს.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე